




ნახ. ა. ბანძელაძისა

— ამხანაგო დირექტორო, თქვენ წელსაც ძველი შეცდომებით მუშაობთ!
 — საკვირველია პირდაპირ! აბა, ყოველ წელს ახალს ხომ არ დავუშვებ?!

საბუნებისმეტყველო



ნარიკი მოგვად ისტორიკოს!

ოცდამეხუთე საუკუნის მცხოვრებო, პატივცემულო ისტორიკოსო!

განზრახ თუ შემთხვევით, ნებით თუ უნებლიეთ, თქვენს საუკუნეში იქნებ სოფელ პატარძელისაქენ გავლა მოგიხდეთ. აქ თქვენს ყურადღებას მიიპყრობს უცნაური ხელოვნებით ნაგები საკვირველი კოშკი, საიდანაც სიმეფასის სუნი გეცემათ და გაგაოცებთ მისი (რასაკვირველია, კოშკის) არქიტექტურა.

თუ ამ კოშკის სამშენებლო მასალამ, ძირითადად ქვამ, დაგაეჭვოთ და გაფიქრებინოთ, რომ ამ არქიტექტურული ძეგლის ავტორი ათას ხუთასი წლით მანც არის დაშორებული თქვენს საუკუნეს, ნუ შეცდებით.

ეს უცნაური ნაგებობა სილოსის კოშკი გახლავთ. იგი აშენებულია ჩემს საუკუნეში. სამშენებლო მასალად გამოყენებულია უძველესი კოშკის — „მრიზის ციხის“ ქვა. ახალი კოშკის მშენებლებმა ეტყობა თავი არ შეიწყუხეს ქვების შორიდან მოზიდვით: პატარძელის კოლმეურნეობის მესვეურთა ნებარებით მრიზის ციხეს თავი მოანგრის და სილოსის კოშკი ააგეს...

პატივცემულო ისტორიკოსო, იქნებ ველისციხის საშუალო სკოლასთანაც მოგიხდეთ გავლა. აქ თქვენ შეამჩნევთ უძველეს კოშკს, ფრიად საყურადღებო არქიტექტურული ნაგებობისას, რომელსაც გვერდები, ცოტა არ იყოს, შელანძლული აქვს. მისი „შელანძლულობა“ თუ გაგაკვირვებთ, ნუ დააბრალებთ

ნურც ერეკლეს დროის რომელიმე საომარ ოპერაციას, ნურც ჟამთა სრბოლას. ველისციხის სკოლის მასწავლებლები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ხსენებული კოშკი ხელს უშლის მოსწავლეებს და მისი დანგრევა მოიწადინეს. ამ მიზნით მოიწვიეს ტრაქტორისტი ტრაქტორითურთ, ჩააბეს კოშკს მაჯისისმსხო ბაგირი, მიაბეს ტრაქტორი და კულტურის ამ უძველესი ძეგლის ადგილიდან დაძვრა მოინდომეს, მაგრამ ამაოდ... ბაგირს მოსწავლე-მასწავლებლებიც ჩაეჭიდნენ, მაგრამ კოშკი იმდენად ძველი გამოდგა, რომ ადგილიდან ვერ დაძვრეს. ჰაბანწყვეტას თავი მხოლოდ მაშინ მიანებეს, როცა ბაგირი გაწყდა. ტრაქტორისტი შეშინდა — „კოშკს რაღაც ღვთაებრივი ძალა ჰქონიაო“ და მოუსვა...

პატივცემულო ისტორიკოსო! თეთრიწყაროს რაიონის სოფელ პიტარეთშიაც თუ შეივლით, იქ კულტურის უძველესი ძეგლის ფრესკებზე წარწერილ ასეთ გვარებს წააწყდებით: „გიკაევი სოსლანი“ „პილიევი ვლადიმერი“, „თვაური ელენე“, „ბეჭაური ნინა“, „აზარიშვილი მერი“ და სხვ. ერთი წუთითაც არ იფიქროთ, თითქოს აღნიშნულ გვარებს რაიმე დამოკიდებულება ჰქონდეთ ხსენებულ ფრესკებთან. არა. ფრესკები გიორგი ლაშას დროინდელ სულმნათ მხატვარს ეკუთვნის, წარწერები კი — ჩემს თანამედროვე გაუნათლებელ მოსწავლეებს, რომელთა გვარებს აღარ გავიმეორებ...

განსაკუთრებული გულმოდგინებით მინდა გამცნოთ, პატივცემულო ისტორიკოსო, რომ ქუთაისის რაიონის სოფ. დერჩის ისტორიული ძეგლის ფრესკაზე წარწერილი გვარი და სახელი „ალექსანდრე ფურცხვანიძე“ არ აღნიშნავს ფრესკის ავტორის ვინაობას. იგი ეკუთვნის ქუთაისის რაიონის კულტურის განყოფილების გამგეს; ამ წარწერით მან თავი ისტორიაში ჩაიგდო და თქვენამდე მოაღწია.

პატივცემულო ისტორიკოსო, მინდა აგრეთვე შეგატყობინოთ, რომ ქალაქ ახალქალაქთან დაცული გვაქვს X—XI საუკუნეების უმნიშვნელოვანესი ძეგლი „ახალქალაქის ნაქალაქარი“; თუმცა ზოგიერთი ადგილობრივი მუშაკის გენიალური გამოგონებლობისა და პრაქტიკული ჯიხუის წყალობით, არ ეცი თქვენს დრომდე მოაღწევს თუ არა ეს ძეგლი.

ამჟამად ზოგიერთი ახალქალაქელი გონებაგახსნილი მუშაკი იმ დასკვნამდე მივიდა, რომ სამშენებლო ქვების შორიდან ზიდვა უაზრობაა და უფრო პრაქტიკული იქნება საუკუნეების წინათ აგებული გალავნის მორღვევა: ჯერ ერთი, რომ ახლოა ეს გალავანი, და მეორეც — გალავნის ქვები უფრო გამძლეა, საუკუნეების ქარიშხლებში ნაწრთობი. გარდა ამისა, „ნაქალაქარის“ ტერიტორიაზე სანაგვე ორმოებიც ბლომად ამოთხარეს, აქვე მრავლად არის განლაგებული გუბე-ქაობები. რაკი აქ მდებარე ქალაქს „ახალქალაქი“ ეწოდება, ეტყობა, ადგილობრივმა აღმასკომმა გადაწყვიტა „ძველი“ ყველაფერი მოსპოს: „ნაქალაქარის“ ადგილზე შენდება ასფალტის, სახერხი და ავეჯის ქარხნები. ამ ისტერიული (და არა ისტორიული) ცვლილებების ინიციატორი გახლავთ ახალქალაქის აღმასკომის თავმჯდომარე ამბ. ჯავახიძე...

პატივცემულო ისტორიკოსო! ერთი წამითაც არ იფიქროთ, თითქოს ჩემი დროის ადამიანებმა არ იცოდნენ წარსულის ამ იშვიათი ძეგლების ფასი და მნიშვნელობა. მათ შესანიშნავად ესმოდათ, რომ ხსენებული ძეგლები ჩვენი წარსულის სიამაყეა, ჩვენი კულტურაა. აქ აღნიშნული ამბები მხოლოდ იმ შემთხვევაში ხდებოდა, როცა ზოგიერთი თავმჯდომარე - მასწავლებელ-მოსწავლ-კულტ-გამგე კულტურასთან უძრახად იყო.

ამ ამბების მემბტიანედ გეგულებოდეთ XX საუკუნის ორმოცდაათიანი წლების ისტორიკოსი

8 0 ა *



რუმინულ სატირულ ჟურნალ „ურზიკადან“

* რომელიც ამ ბარათის წერის დროს სრულიად არ იყო ხუმრობის გუნებაზე.

მოკითხვით და ნახვით

ნკაპრით

ზუგდიდის ავტოტრანსპორტის კანტორის უფროსს
ვიქტორ კოკოს-ძე საუბრის!

ღრმად პატივცემულო ვიქტორ, მინდა ჩემი ბარათი ნთელი მსოფლიოს რაინდთა გვირგვინის დონ კიხოტ ლამანჩელის წერილით დავიწყო.

აღნიშნულ ეპისტოლეში მწუხარე სახის რაინდი ასე არიგებს კუნძულ ბარატარიანზე გუბერნატორად გამწესებულ სანჩო პანსას: „ბევრი ქალაქისა და ბრძანების წერას ნუ მოჰყვები, ეცადე შენი წერა და ბრძანება უთუოდ აღსრულებულიყოს, თუ არ იქნება, ჯობს არც კი რამ უბრძანო“. ეს სიტყვები მინდოდა ცალკე ამომგებქდა და ზოგიერთი ღირებურობისა და მმართველის კარებზე ჩამომეკიდა, სწორედ იქ, სადაც ნახვის მსურველთა მიღების დრო არის ნაჩვენები. მაგრამ მოუცლელობის გამო ვერ შეძელ. ახლა გადავწყვიტე ეს სიბრძნე თქვენ გაგახსენოთ. იქნებ არც გამხსენებოდა ფათერაკების მაძიებელი რაინდის ეპისტოლე, რომ შემთხვევით თქვენი ბრძანებების წიგნი არ ჩამვარდნოდა ხელში და ყოველივე საჩანგლე ზრახვების გარეშე არ გადავმეკითხა ამა წლის 26 მაისის ბრძანება № 199: „მძლოლი მატუა ხულიგნობისათვის, რომელიც გამოიხატა კონდუქტორ ლიხოვანენკოსათვის ფიზიკური შეურაცხყოფით, მოიხსნას სამუშაოდან და საქმე გადაეცეს საგამომძიებლო ორგანოებს“.

უდიდესი პატივისცემით გავინსკვალე თქვენი ბრძანებისადმი, პატივცემულო ვიქტორ, ქებითა და ხოტბით მოვიხსენიე თქვენი მტკიცე ხასიათი, კმაყოფილებით განვაგრძე აღნიშნული წიგნის ფურცელა, მაგრამ 298-ე ფურცელზე ისევ მატუას გვარს შევასწარ თვალი და გადავწყვიტე შევიჩერებულყოფიყ.

„მატუა ამბაკო მაქსიმეს-ძე აღდგენილ იქნას შემცვლელ მძლოლად“, — სწერდით ბრძანება № 371-ში და აქაც ისევ ისე გაკრული ხელით გქონდათ თქვენი გვარი მოწერილი.

რა თქმა უნდა, ჩემებური ყურადღება არ მივაქციე თქვენი ხასიათის ცვალებადობას. ვიფიქრე ერთი შეცდომა სალიას კი არა, სალკლდესავით გაუტეხავ მმართველსაც მოუეა-მეთქი. ამიტომაც სალოკი თითი დავისველე, ბრძანების წიგნი გადავფურცლე და 6 აგვისტოს ბრძანება № 385-ში თქვენი ხელწერის უბაღლო ნიმუშს მივაჩერდი: „კონდუქტორი ზარქუა ნადია მოიხსნას სამუშაოდან ა. წ. 7 აგვისტოდან, თანახმად შედგენილი აქტისა. დანაკლისი 106 მანეთი გადახდეს ზარქუას. დაევალოს ბუღალტერს გაუსწოროს საბოლოო ანგარიში აღნიშნული რიცხვიდან“.

სწორე გითხრა. ამხანაგო ვიქტორ, შემშურდა თქვენი სამართლიანი მოქმედება. ამ პატარა საქართველოში ნათესავ-მოკეთებების ქსელი ისე ფართოდ არის მოდებული. რომ თქვენ კი არა, ბევრს უჭირს ასეთი სიმტკიცის გამოვლენება. თქვენ წარმოიდგინეთ, ისიც კი ვიფიქრე, ვენახე. შევე-

კითხები. რითი იფარავს თავს მეგობრების წყრომისა და ტელეფონების წკრიალისაგან-მეთქი. მაგრამ იქვე 13 აგვისტოს № 393 ბრძანება ენახე და სიბრახის დასაოცებლად ციფრ წყალი მოვიშველიე:


„კონდუქტორი ზარქუა ნადია ივანეს ასული აღდგენილ იქნას სამუშაოზე...“ და სხვა.

აღნიშნული სტრიქონების წაკითხვის შემდეგ ხასიათი განიფუტდა. ძვირფასო ვიქტორ, მრავალჯის ტანჯულ ბრძანებების წიგნს ხელი ვუშვი და გადავწყვიტე კერძო საუბარში შემემოწმებინა ის ჩენთვის მეტად საინტერესო საკითხები, რომლის გამოსარკვევადაც ზუგდიდში მომიხდა ჩამოსვლა. საუბარში ბევრი რამ ისეთი მითხრეს. საყვარელო ვიქტორ, რომლის მოსმენითაც არც თქვენ მოგადგებათ პირზე ღიმილი და არც თქვენს ერთგულ თანამშრომლებს. ისიც კი მითხრეს. რომ სალიას ჩვილი გულისა და ბრძანებების ხშირ-ხშირი შეცვლის გაცო. ზუგდიდელი ავტომძლოლები და კონდუქტორები მგზავრების გადაყვანის დროს ხშირ-ხშირად კრეფენ „ხალტურის“ აკრძალულ ხილსო, ფულს აგროვებენ, უფროსებს პატივს სცემენ და დავიწყებას აძლევენ მოქალაქეობრივ და სამსახურებრივ სინდისს და პატიოსნებასო. ასე მაგალითად, შემოწმების დროს კონდუქტორ ზარქუას 106 მანეთი დააკლდაო. კონდუქტორ ზინკოვას ერთ რეისზე 11 მანეთი მომამატაო, კონდუქტორმა დუბკოვამ 45-კაპიკიან ბილეთში მგზავრს 3 მანეთი გადაახდევინაო, მძლოლ ბ. მესხიას ზუგდიდ-ორსანტიას გზაზე 25 უბილეთო მგზავრი გადაყვადაო. და ვინ მოსთვლის კიდევ რა...

იქნებ შემეკამათოთ კიდევ, დიდად პატივცემულო ვიქტორ, „აღნიშნული ფაქტებიდან თითქმის სუყველაზე სათანადო ბრძანებები მაქვს დაწერილიო,“ მაგრამ მე ისევ ცხონებული დონ კიხოტ ლამანჩელის სიტყვები მაგონდება და ვიმეორებ... „ბრძანება უთუოდ აღსრულებულიყოს. თუ არ იქნება, ჯობს არც კი რამ უბრძანო“.

პატივისცემით

ნ. ნახვი



ნახ. ა. კანდელაკისა

— აკი უკეთესი არაფერი მაქვსო?! სამზარეულოდან გემრიელი საჭმლის სუნი მოდის.
— ეგ ჩვენი საჭმლის სუნი არ გახლავთ: მზარეულს ხახლიდან ხადილი მოუტანეს.

მ ი ლ ი ს ი ა, სყავ ხართ?

— კაცო, ეს რა ფასონის იდამიანები გაჩნდნენ ამ ბოლო ხანებში. ჩემმა მზემ, თუ დროზე რაიმე განსაკუთრებული ზომები არ მიიღეს, ცხოვრება შაურად აღარ ეღირება. აბა, მამ, გუშინ მე ერთმა აყლყულა ინტელიგენტმა ოინი მიყო, იმის შემდეგ თქვენ თვითონ გამოიცანით, რა ხალხთანა გვქონია საქმე! მე ერთი ბატონისანი კაცი ვარ, ძმა-ბიჭებისათვის ერთხელ რა არი, ერთხელ არ მიღალატნია, არავინ ჩამიგდია, არც არავინ გამიცია. ვერის ხიდიდან ზემელამდე ტროლეიბუსში ვწუშობ. ჩემს ბრიგადამო ერთი შვილიადე ჯეელი ბიჭია. თანაც რომ იცოდეთ, რა ოჯახიშვილები, რა თავაზიანები!.. დედალ სეროვა "შესასვლელ კარებთან ზის ხოლმე და ქალებს ტროლეიბუსში ასვლას ეხმარება, მაჯაში ხელს ჩასჭიდებს და მალა ეზიდება; "სვოი შაშლიკას" ვითომ უნივერსიტეტში ეჩქარება და გაჩერების დროს ტროლეიბუსის შუაგულიდან უკანა კარისაკენ მიაჩვენებს ხალხს და შემოსვლებს გულ-ძკერდზე ეჯახება, თან ბოდიშს იხდის მაპატიეთო: „პრიშჩიკ სპრავა“ ქალის სუმიკებში ისე ადვილად აფათურებს ხელს, გვეგონება ჩაიში კოვზს ურევსო. სამნი კიდეც ასიტენტი არიან, „ზექსზე“ დგანან, პასაჟირებს თვალებში უცქერიან: ჩვენს მუშაობას რომელიმე მათგანი გაზეთის კორესპონდენტით არ უთვალთვალებდეს. რომ ისაუგზე აიყვანონ. დედისისი შვილია, ვინმემ ხმა ამოიღოს და ჩვენი კლიენტი გააფრთხილოს. ეს საქმე ისე სტრუქტურით ავაწყეთ, რომ ახლა მთელმა ქალაქმა იცის, რა ძვირად დაუჯდება, ვინც ხელს შეგვიშლის. ამიტომაც ისე თავისუფლად ვმუშაობთ, რომ ამ მხრივ სასაყვედუროც არავითან არაფერი გვაქვს. მერამდენე წელია, რაც ერთი არავინ შემოგვდავებია. აი ასე ვართ! მე ხან თვითონ ვმუშაობ, ხან კიდეც „ბენდი პასაჟირი“ ვარ. საქმეზე მიმეჩქარება და გასასვლელისაკენ ხალხს მივარღვევ. გზადგა ბიჭები ჯიბეში ნაშონ რაიმეებს მიწყობენ. თუ ვინცობა, ვინმე შეუგნებელმა მოქალაქემ გაიგო, რომ დაკარგა რამე და, ჩვენი ბიჭების თვლების ბრიალის მიუხედავად, აყალმაყალი ასტება, პირველი მე ვყვირი: — კარები დაკეტეთ, გარეთ არავინ გაუშვით-მეთქი. ამის თქმა და მოფერი მამინვე ალებს კარებს და ჩვენი ბიჭები ციყვებივით გადაცვივით ვაგონიდან. განა იმის შიში გვაქვს, რომ ვინმე დაგვიქვრს! ისე, ფასონზე ვიფანტებით. ახლა, ჩვენც ნამუსი ხომ მთლად არ უნდა დავკარგოთ? ხალხმა ხომ უნდა იფიქროს, მითამ გვეშინიან, თორემ აიღებენ და ამ ტროლეიბუსში სულ აღარ ჩასხდებიან. მერე ვილა ჩემისთანა ვირისთავს ჩაუყოფ ჯიბეში ხელს! ერთის სიტყვით, საქმე კარგად გვაქვს დაყენებული და ხელსაც არაფერი გვიშლის. პირიქით, თბილის ქალაქში ტრამვაი-ტროლეიბუსებში და ავტობუსებში ჩასხდობა-ჩამოსვლის საქმე ისე უწყისრიგოა. გვეგონება მილიციას განგებ ჩვენთვის შამოულანა ასეთი უწყისობაო. რო ამბობენ, მითამ ქრთაშს ვაძლევდეთ მილიციელებს, რა არი განგებ ურად-ღება არ მიაქციონ ამ უწყისრიგობასო — ეს კორია. ერთ კაპიკს, ჩეთს, ამაზე



— ასეთი საწოლები მწამს! რბილად და მოხვეწებით დავიძინებ.
— ახლა მე მკითხე! ისეთი ფულით მაქვს შეძენილი, რომ ძილიც ვამიკრება და მოხვეწებაც.

ჩვენ არა ვხარჯავთ. ჩვენში რომ ისეთი წესრიგი იყოს. როგორც მოსკოვშია. მაშინ ძალიან გავიჭირდებოდა მუშაობა. მოსკოვში ერთი კაციც რომ ელოდებოდეს ტრამვაის, მეორე მივა და კითხავს — თქვენ ტრამვაის ელოდებითო? ძაშ თქვენს შემდეგ მე ვდგევარო. ვაგონშია, ვინდა „პრიცენკა“ იყოს, რიგრიგობით აღიან, ერთმანეთს ხელს არ უშლიან.

აბა ეს საქმეა? დაილოცოს ისევე ჩვენი კურთხეული ქალაქი. ყველა გაჩერებასთან ისეთი კულეტა, ყვირილი და ღრინანცელი ჩავარდება-ხოლმე, ასი კაცი ერთად მიაწვება კარებს, გვეგონება ამ ტროლეიბუსში ფლავს არიგებენო! მერე და ჩვენი ბიჭებიც რომ ოსტატურად ჩადგებიან კარებში, თითქო კინოს კანტრალიორები იყვნენ! ბიჭი ხარ და იმათ შუა უხსათაბალოთ გაძვერი! ჰო, სიტყვა გამიგრძელდა, იმას ვამბობდრი; ამას წინათ ჩემს პოსტზედა ვდგევარ, ტროლეიბუსში უნდა ავიდე რაღა! ჩემი სმენა ეს-ეს არის თავდება. იმ დღეს ძალიან დანავსული დღე იყო. ვერაფერი ვიშოვეთ. უკანასკნელ რეისზე ავდივარ. ვხედავ ვილაც ორი კაცი დგას. ერთი დაინხარა და მეორეს ეუბნება — მოდი, ტაქსს დაეუძახოთ, ჯიბეში ორმოცი ათასი მიღვეს და ტროლეიბუსში არ ამომაცალონო.

ვაა! ეს რა გავიგონე, სულ ელეთ-მელეთი მომივიდა. მოდი ახლა და ამისთანა კანარი ხელიდან გაუშვი! კიდეც ილბალი, ტაქსი არ გამოჩნდა. ამას მე თვითონ უნდა გავუქეთო „აბრაბოტკა“-მეთქი, და შევიდნენ თუ არა ტროლეიბუსში, მეც მივეყვი. გავუქეთო „რაზვედკა“, ჯერ ერთ ჯიბეზე, მერე მეორეზე; ვაჰ, სად ოხრობაში აქვს შენახული ფული? ორივე ჯიბე ცარიელი მეჩვენა. ახლა უკანა ჯიბეს მოვუსვი ხელი. იქაც არაფერია! ამ ბეშურაზს,

სიზნარში ხომ არ უნახავს და ხომ არ ბოდავდა-მეთქი? თან მუშაობაც მიჭირს. ხალხი გათხელდა, ყველა მე მიცქერის. აქეთ-იქით ვინხდები, მითომ ახალი მშენებლობების დანახვა მინდა. თან იმაზე ვფიქრობ, გულისჯიბეში როგორ ჩაუყუო ხელი! ვხედავ, ეს ჩემი კლიენტი ჩამოსასვლელად ემზადება. ეე, ეგრე არ იქნება-მეთქი, წინ წავედი, მითამ მეც მინდა ჩასვლა და უნდა გავუსწრო. მარცხენა ხელით ჩამოსაკიდს მივწვდი, მარჯვენა ხელი საკუთარი მარცხენა ილლის ქვეშ ვავაძვრინე და იმის გულისჯიბეს ფათური დავუწყე.

— ჰა, ეგენი არ იყოსო, — მეუბნება ის პირძალი ისა, — განა მართლა მაქვს ჯიბეში ორმოცი ათასიო? შენი გაპამპულემა მინდოდაო.

ვააჰ! ბრაზისაგან კინალამ დავიხრჩე! ამისთანა ხულიგნობა იქნება? ამოდენა კაცს მასხრად ნივდებს? შეხელო კაცს გავს, კიტელი, კიტისიკი პანამა, სტილი ულვაშები. ვკებო, ვერ მოვერევი, კიდევაც რომ მოვერიო, ქურდობისათვის არავინ მიჭერს და ახლა ასეთი პუსტო რამესათვის ჩავჯდე? არა და ეს ჩვენი მილიცია სადღაა, რომ ასეთ აფერისტებს თავისუფლად ატარებს?! კიდეც იტყვიან, მილიცია მუშაობსო?! თუ ამისთანა ხალხს პრატაკოლს არ შეუდგენენ და პასუხისცემაში არ მისცივენ, ერთი განაგებინა, მამ, ჯამაგირს რალაში ლებულობენ? ხაგონილა კაცის ასე მასხრად ავდება! ახლა ამა-საც ინტელიგენტი კაცი ჰქვიან! ყველა ჯიბეში ხელი ჩამაყოფინა, ამდენი მაწვალა, და მერე მეუბნება, გაპამპულე-ბო. ოოხმე! მილიციონერ, შენი სინსილა გაწყდეს, კაცს როცა სჭირდება. მაშინ თვალთ ვერავინ განახამს, ასეთ ხალხს ქუჩაში თავისუფლად უნდა ატარებდენ?

ლი ბარათი ოლიგის კლავოდა

გაზეთ „საბჭოთა აგრონომის“ ჩელაბტორს

სალამი და მშვიდობა!

წავიკითხე თქვენი გაზეთის ა/წ. 15 სექტემბრის ნომერი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ყოველკვირეული გაზეთის მიღება ყოველთვის სასიხარულოა ჩვენთვის, განსაკუთრებით მახარებს პირადად შე, რადგან დაინტერესებული ვარ ძველი და თანამედროვე აგრონომიის მიღწევებით. ჩემი პოემა „შრომა და დღეები“ აქ ორ დღეში დაიტაცეს, მთელი ტირაჟი, მაგრამ დღემდის ამ წიგნისათვის არც ერთი შრომადღე არ გამოუწერიათ: თუმცა მსოფლიოს ყველა პოეტთა შორის მწერლობაში მე შემოვიტანე სიტყვა შრომადღე და სხვა მრავალი, მაგრამ ამას არავითარ დამსახურებად არ მითვლიან, ის კი არა და.. აქაურ გამომცემლობას კუთვნილი ჰონორარი ჯერაც არ გადაურიცხავს, - ისე ორ-ორ კაპიკობით გამომაჭამეს. ზოგ-ზოგ რჩეულებს ხელშეკრულების გაფორმებამდეც ჩაუყაჭეს, მე კი სულ ასე მამშვიდებენ: რა ვუყოთ, ადგილობრივ წიგნით ვაჭრობას ისევ ყადაღა დაადვენ ბანკში და მათ ანგარიშზე თანხა არა აქვთო. ეს სხვათა შორის. ასეთი ამბებით ვერ გაგაკვირებთ, რადგან მანდეთაც შეჩვეული ყოფილხართ ასეთ მოვლენებს.

ძლიერი შთაბეჭდილება დასტოვა მ. ნიჟარაძის წერილმა „ავიმაღლოთ მეტყველების კულტურა“, რომელიც თქვენი გაზეთის 15 სექტემბრის ნომერშია დაბეჭდილი. განსაკუთრებით მოგვეწონა და აღგვაფრთოვანა სიტყვებმა: „მეტყველების კულტურის ამაღლება მოითხოვს სტუდენტის სისტემატურ ვარჯიშს. ცნობილია, რომ ბერძენი ფილოსოფოსი სოფოკლე ზღვის ნაპირზე გადიოდა, კენჭებს იწყობდა პირში და ისე ვარჯიშობდა მეტყველების გაუმჯობესებაზე“.

ჩემი უმცროსი თანამოკალმე, სახელოვანი სოფოკლე, განაწყენებულია ფრიად: ასე რად გამაპამპულესო; მე ხომ ერთი საცოდავი დრამატურგი ვარ, რაღაც ორიოდე უბადრუკი ტრაგედია მოვჩამხე და ფილოსოფოსობა რად დამწამესო; ისიც მეყოფა, ჩემი „ოდიშოს მეფისა“ და „ანტიგონეს“ თანავეტრობას ერთი ჩემებური რეჟისორის თანაშემწის ორი მოადგილე და თეატრის ადმინისტრატორი რომ მეცილებიანო. მესამე კურსის სტუდენტ მ. ნიჟარაძეს უნდა ცოდნოდა, რომ ზღვის კენჭებს პირში მე კი არა, ჩვენი გამოჩენილი ორატორი დემოსთენე იწყობდა, - ეს საქვეყნოდაა ცნობილი და მე რა შუაში ვარო.

გუშინ თვით დემოსთენე მეწვია. იგი მეგობრული საუბრის დროს სევდიანად ჩიოდა: სიკაბუკეში რაღაც ვისულელები, ახლა რა გასახსენებელი იყოო. სიყრმიდანვე ბლუ ვიყავი და მეგონა, კენჭებით ვარჯიშობა რაიმეს მარგებდაო. თბილისელი სტუდენტები ყველა ენამოჩლეკილი ხომ არ იქნებიან, და, ესეც რომ არ იყოს, სად მონახონ ახლა ასე ახლოს ზღვა, ან როგორ გააცდინონ ლეკციები კენჭების საძებნელადო. მართალია, ახლა ერთი პატარა ზღვა გაუჩენიათ, მაგრამ, როგორც მსმენია, იქ არაფერი კენჭები არ ყრია და ჯერჯერობით მარტოოდენ შლამით ყოფილა დაფარული მთელი სანაპირო. იმ ნიჟარაძეს რაღაც პირადი ანგარიშები უნდა ჰქონდეს ჩემთან, ან ჩემი მტრების შემოჩენილი იქნება. თუ მოვახერხებ, პირადად ვინახულე და ვურჩევ აწი მაინც ნუ მოიქცევა ასეო.

ამჟამად მეტს არაფერს მოგწერთ. მშვიდობით იყავით. არაფერი გეწყინოთ და ამაზე მეტი სამწუხაროც უფალმა ნურა მოგცეთ რა.

შორეული სალამით ძველბერძენთა პოეტი ჰისიოდე

ძველბერძენულიდან თარგმნა ნ. აპიაზვილიძე

რედაქტორი—ვახტანგ ჭელიძე.

„სონ მუყაბის“ შესანიშნავი კარიკა

რომანებსა და მოთხრობებში ხშირად ყველაზე დაძაბულ მომენტში წყდება ხოლმე ამბავი და მწერალს თბრობა შეგნებულად გადააქვს სხვა გარემოში, სულ სხვა ამბებზე. ეს ერთგვარი ხერხია საინტერესო სიუჟეტის განსავითარებლად და თქვენც მანამ ვერ მიატოვებთ ასეთ წიგნს, სანამ ბოლომდე არ წაიკითხავთ.

ასეთი „ხერხი“ სუხუმის კინოთეატრებშიც შემოულიათ; რათა კინოფილმები უფრო საინტერესო გახადონ, შუა ადგილას შეწყვეტენ ხოლმე. ამას წინათ სუხუმის კინოთეატრ „რუსთაველში“ მოცარტის ოპერის მოტივებზე აგებულ ავსტრიულ მხატვრულ ფილმს „დონ-ჟუანი“ უჩვენებდნენ. ეკრანზე ჩანდა ესპანელი გრანდი დონ-ჟუანი, რომელმაც რამდენიმე საათის წინ მოკლა კომანდორი და ახლა თავის სასახლეში ლხინს მისცემოდა, თან ლამაზ ცერლინას ეარმიყებოდა. შურისმაძიებელი დონა ანა და მისი საქმრო დონ ოქტავიო, მხლებლებითურთ, დონ-ჟუანის სასახლეში შემოიჭრნენ, რათა დასაჯონ თავზე ხელაღებული მოაზრიყე და კომანდორის მკვლელი.

— კონედია დამთავრებულია!—წამოძახა დაშნაგაშიშვლებულმა დონ ოქტავიომ და...

უცებ კინოთეატრის დარბაზში უქუნეთი სიბნელე გამეფდა თითქოს კომედია მართლაც დამთავრდა და ფარდა დაეშვა. გულშემოყრილი ნაყურებლები უსიამოვნოდ შეიმშუშნენ, ვილაცამ დაუსტვინა კიდევ. გასავლელი კარის ფარდები უჩინარმა ხელმა გადასწია და დარბაზი დღის სინათლით განათდა. მეკარემ, რომელიც კინოთეატრის ერთადერთი ბატონ-პატრონი აღმოჩნდა, გამოაცხადა:

— ფილმი არ დამთავრებულა. ორი საათის შემდეგ გავრძელდება ჩვენება. ვისაც უნდა დაიცადოს გარეთ, ვისაც არა სურს, მიბრძანდეს.

მაყურებლებით სავეს დარბაზი მღვლვარე ზღვასავით აბობოქრა.

- სად არის დირექტორი!
- დაგვიბრუნეთ ფული უკან!
- აღმინისტრატორი მაინც გამოჩნდეს!
- „ჭრიჭინა“ ასე ნახევრად გვიჩვენეს ამას წინათ!
- კინოთეატრ „სუხუმშიც“ ასე ხდება ხშირად!
- მასხარად გვიგდებენ!

კინოთეატრის დირექტორი მაინც არ გამოჩნდა. იქნებ სიბნელეში დონ-ჟუანთან ერთად გაიპარა საიდუმლო გასასვლელით! სამწუხაროა, რომ სუხუმის კინოთეატრებში ფილმების ნახევრად ჩვენება ხშირია და ჯერჯერობით, მიუხედავად დონ ოქტავიოს წამოძახილისა, — უცნაური კომედია არ დამთავრებულა.

გაუჩიბებილი



ნაინგი აქვეყნებს ერთი დეპეშის რეპორაჟჟიკიას და აცხადებს კონკურსს შინაარსის ზუსტად ამოკითხვისათვის.

- პ რ ე შ ი ე ბ ი:
- 1) ორი მეორე პრემია*)—ნაინგის მადლობა.
 - 2) ხაში მესამე პრემია—ნაინგის უღრმესი მადლობა.
- კონკურსის შედეგები გამოცხადდება ჟურნალის მორიგ ნომერში. (პასუხები არავითარ შემთხვევაში დეპეშით არ გამოგზავნოთ, რადგან კონკურსს მეტს ვეღარ ჩავატარებთ.)

*) პირველი პრემია, როგორც წესი, არავის არ მიეკუთვნება.

სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ო. გიგიხეიშვილი, ვ. თორღუა, კ. ლორთქიფანიძე, ს. ფაშალიშვილი, გ. ჯაში.


თბილისი. სატირიკო-იუმორისტისკი ჟურნალ „ნიანგი“. რედაქციის მისამართი: რუსთაველის პროსპ. № 42. ტელ. 8-10-49.

გამომც. № 18, ხელმოწ. დასაბ. 28/IX-1955 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5, ნაბ. ფურც. 1,37, „ზარია ვოსტოკას“ სტამბა, რუსთაველის პროსპ. 42, შეჯვ. № 1475 უფ 06495 ტირ. 25.000

ეკონომიკური ფაქტორები ზოგადი ეკონომისთვის
ნაკომპლექსით




ჩაწოლილი საქონელი



საქონელი უტაროდ



საქონელი ტარით



ფასაღების ბაზარი



სახარგებლო შრომა